



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №7

2015 წლის 30 იანვარი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-მუხლის შესაბამისად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამდებობათა რეესტრი, საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობები დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. ამ დადგენილების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს N21 დადგენილება (ეგზეკუდირი 18.08.2014).

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2015 წლის პირველი იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე:



გიორგი ხელაძე

დანართი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამდებობათა რეესტრი, საშტატო
ნუსხა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობები

N	რანგი, თანამდებობათა დასახელება	შტატის რაოდენობა	თანამდებობრივი სარგო
1	წამყვანი საჯარო თანამდებობა		
1-1	საკრებულოს აპარატის უფროსი	1	1350 ლარი
2	უფროსი საჯარო თანამდებობა		
2-1	საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი	1	1000 ლარი
2-2	საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე	1	950 ლარი
2-3	საკრებულოს აპარატის სამდივნოს ხელმძღვანელი	1	900 ლარი
2-4	საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი	5	750 ლარი
3	ტექნიკური პერსონალი		
3-1	საკრებულოს თავმჯდომარის მდივანი	1	620 ლარი
3-2	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის მდივანი	1	570 ლარი
3-3	საკრებულოს თავმჯდომარის მძღოლი	1	680 ლარი
3-4	დამლაგებელი	1	420 ლარი